



## საქართველოს კულტურის სტრატეგია

### სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონში

ქუთაისი, 2015 წლის 14 მარტი

სესია

## კულტურული მემკვიდრეობა

**მოდერატორი:** თამარ წულუკიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

**რეპორტიორი:** ელინა გედენიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს სპეციალისტი

**მონაწილეები :**

**ვაჟა ჯულელი,** ქუთაისის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი

**მერაბ დანელია,** ქუთაისის მერიის განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი

**ელისო ჩოგოვაძე,** ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორი

**რამაზ მორჩაძე,** დ. მხეიძის სახელობის ფოტო-კინო-მატიანეს მუზეუმის დირექტორი

**ვლადიმერ კელაურიძე,** ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი

**ნარგიზ ჩოგოვაძე,** ი.ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო ბიბლიოთეკა

**გიზო თავაძე,** მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი, ქუთაისი

**ვენერა ჩოგოვაძე,** ხელოვნებათმცოდნე, ქუთაისი

**კონსტანტინე მამისფიშვილი,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

**პაატა ახალაძე,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**ირაკლი გეგეძიძე,** ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი

**ნინო კვირიკაძე,** ბაღდათის ა.ა.ი.პ. საინფორმაციო ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდის დირექტორი

**ზაირა კამლაძე,** ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**ლელა ადღიშვილი,** ვანის კულტურის ა.ა.ი.პ. უფროსი

**მაია ხვედელიძე,** გესტაფონის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი

**გურამ თურქაძე,** თერჯოლის კულტურის სამსახურის უფროსი

**ია ვარდოსანიძე,** თერჯოლის კულტურის სამსახურის სპეციალისტი

**სოფიო ბუსკივაძე,** თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარე

**ვალერი ფოცხვერია,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი

**ნუგზარ ჯამბურია**, სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარე  
**მაკა უგულავა**, მთავარი სპეციალისტი კულტურის საკითხებში, სამტრედია  
**მალხაზ ბაზაძე**, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
**თამაზ ნადირაძე**, საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარე  
**ოთარ ოშიაძე**, საჩხერის გამგებლის მოადგილე  
**ალეკო ბიბილაშვილი**, ტყიბულის კულტურის სამსახურის უფროსი  
**დურმიშხან ლოსაბერიძე**, ტყიბულის კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი  
**კობა ლურსმანაშვილი**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
**ვალერი ბახტაძე**, ხონის საკრებულოს თავმჯდომარე  
**მანანა გოფოძე**, ხონის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი  
**გიორგი ციციშვილი**, ჭიათურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი  
**მარინა გოგშელიძე**, ჭიათურის კულტურის ა.ა.ი.პ. დირექტორი

ორსაათიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ბაღდათის, ჭიათურის, ვანის, ხონის, საჩხერის, ტყიბულის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ს.ს.ი.პ-ების წარმომადგენლებმა. გურამ თურქაძემ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი) ისაუბრა სოფლად ბიბლიოთეკების არარსებობის შესახებ, სახალხო თეატრისთვის დარბაზის მშენებლობის, ძეგლების გარშემო გზების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ. წყალტუბოს გამგებელმა, ბ-ნმა კონსტანტინე მამისიეშვილმა ხაზი გაუსვა კულტურის სფეროში მიზნობრივი განსაზღვრული ტრანსფერის აუცილებლობას, რაც გაადვილებს თანხების მობილიზებას კულტურის სფეროში. ხარაგაულის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია/რესტავრაციის კუთხით მაკონტროლებელი ორგანოების არარსებობასა და ფუნქციების დადგენასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე ისაუბრა; კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების, საპატრიარქოს (რელიგიის საქმეთა სააგენტო), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს როლისა და ფუნქციების შესახებ. ბაღდათის გამგებელმა, ირაკლი გეგეშიძემ ისაუბრა კულტურული ძეგლების კლასიფიკაცია/პასპორტიზაციის აუცილებლობაზე და ცენტრალური ხელისუფლების დახმარების საჭიროებაზე ძეგლების პასპორტიზაციის საკითხში. აგრეთვე, კერძო მენარმეების მიერ სოფლის/მუნიციპალიტეტის დასახელების პროდუქციის ბრენდად გამოყენების გამო, სოფლისთვის/მუნიციპალიტეტისთვის სარგებლის მიღების მექანიზმის შემუშავებაზე.

განსხვავებული სიტუაცია აღინიშნა ბიბლიოთეკების შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით - მაგ. ზესტაფონში და ხარაგაულში დამაკმაყოფილებელია ინფრასტრუქტურაც და ფონდიც, მხოლოდ ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე ხელმისაწვდომობაა შეზღუდული. ტყიბულის კულტურის სამსახურის უფროსმა ისაუბრა არასაკმარისი დაფინანსების შესახებ, სახვითი ხელოვნების მუზეუმის დარბაზის დანგრევის და მის კულტურის ცენტრში გადატანის შესახებ, სადაც არასათანადო პირობებია შექმნილი. აღინიშნა, აგრეთვე, იმ ძეგლების კონსერვაციის აუცილებლობა, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას. ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახ. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნარგიზი ჩოგოვაძემ აღნიშნა საბიბლიოთეკო

პოლიტიკის/კონცეფციის შექმნის და ამ კონტექსტში კულტურის სამინისტროს დახმარების, არსებული კადრების გადამზადების, უმაღლეს სასწავლებლებში ბიბლიოთეკარის სპეციალობის შემოღების აუცილებლობა. ზესტაფონის კულტურის სამსახურის უფროსმა, მირიან ხვედელიძემ ისაუბრა საგამოფენო დარბაზის/სივრცის შექმნის და 37 ძეგლის რესტავრაციის აუცილებლობაზე. ელისო ჩოგოვაძემ, ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორმა ისაუბრა სამართლებრივი კაზუსის შესახებ. კერძოდ, გალერეა, სადაც 3000-მდე მნიშვნელოვანი ექსპონატია, იმყოფება საცხოვრებელი სახლის შენობაში, რაც ეწინააღმდეგება „კანონს მუზეუმების შესახებ“ და არ აქვს დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი. მან აღნიშნა საკადრო პრობლემა და რესტავრირებული ექსპონატებისთვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობა.

## ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით

### გამოვლენილი პრობლემები:

- სოფლად ბიბლიოთეკების გაუქმება
- არასათანადო ინფრასტრუქტურა
- ელექტრონულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა
- კადრების დაბალი ანაზღაურება
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა
- კადრების გადამზადებისა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის დეფიციტი
- ბიბლიოთეკარის სპეციალობის გაუთვალისწინებლობა უმაღლეს განათლებაში
- თვითმმართველი ქალაქებისა და თემების/სოფლების ბიბლიოთეკების ასიმეტრიული დაფინანსება

### მთავარი პრობლემა:

- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიბლიოთეკის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა
- ასიმეტრიული ყურადღება რეგიონის მხრიდან
- ცენტრალურ, რეგიონალურ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია
- განათლების დეფიციტი
- საბიბლიოთეკო პოლიტიკის არარსებობა

## ძეგლებთან დაკავშირებით

### გამოვლენილი პრობლემები:

- ძეგლების არასათანადო აღწერა/პასპორტიზაცია
- არ არის განსაზღვრული ძეგლის ეკონომიკური სარგებელი (ტურიზმთან, საავტორო უფლებებთან კავშირში)

- არასაკმარისი და ქაოტური კვლევები
- არასათანადო ინფრასტრუქტურა
- ინფორმაციის დეფიციტი მოსახლეობაში საცხოვრებელი სახლისთვის ძეგლის შესაძლო სტატუსის არსებობასთან დაკავშირებით
- კანონმდებლობასა და გამოყოფილი თანხების ათვისებას შორის წინააღმდეგობრივი კავშირი
- არ არსებობს მიზნობრივი ტრანსფერები კულტურის სფეროში

#### **მთავარი პრობლემა:**

- არასათანადო ინფრასტრუქტურა;
- ძეგლის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა;
- სუსტი კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
- საკანონმდებლო ხარვეზები - სამართლებრივი ბარიერები ან სამართლებრივი მოუწესრიგებლობა;
- კვლევების/ტრენინგების არარსებობა.

#### **მუზეუმები:**

##### **გამოვლენილი პრობლემები:**

- არასათანადო ინფრასტრუქტურა /ექსპონატების შენახვისათვის არასათანადო პირობები;
- სამართლებრივი წინააღმდეგობები;
- ავტონომიური მართვის შეუძლებლობა (გაერთიანებაში შემავალი სუბიექტებისთვის).

#### **მთავარი პრობლემა**

- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა;
- არასათანადო კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
- მუზეუმის მნიშვნელობისა და როლის არასათანადოდ გაუცნობიერება;
- საკანონმდებლო ხარვეზები.

#### **ზემოაღნიშნული პრობლემების მიზეზებად განისაზღვრა :**

- კულტურის სტრატეგიის არარსებობა ცენტრალურ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე;
- მოუწესრიგებელი საკანონმდებლო/მარეგულირებელი ჩარჩო;
- მიზნობრივი ტრანშების/დაფინანსების არარსებობა კულტურის სფეროში.